სს ნიკორა ტრეიდი
ს/კ 206255808
თბილისი 0180, ჩოხოტელის რაიონი, ს. დადიანის ქუჩა N7,
კომერციული ფართი N0401 სართული 4
ტელ.: (+995 32) 2 30 33 33
ელ.ფოსტა: info@nikoratrade.ge

JSC NIKORA TRADE
S/C 206255808
TBILISI 0180, CHUGURETI DISTRICT, TS. DADIANI ST. N7,
COMMERCIAL SPACE NO401 FLOOR 4
Tel.: (+995 32) 2 30 33 33
E-mail: info@nikoratrade.ge

02/სექტემბერი/2026 წ

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე" №181/04 ბრძანების ფარგლებში ემიტენტისათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით ვასაჯაროებთ:

2026 წლის 26 აგვისტოს Scope Ratings-მა სს „ნიკორა ტრეიდს" ს/კ: 206255808 საკრედიტო რეიტინგი "BB- სტაბილური პერსპექტივით" შეამცირა "B+"-მდე „უარყოფითი პერსპექტივით".

16/10/2024 წელს დამტკიცებული ემისიის პროსპექტის შესაბამისად, ISIN GE 2700604921 და GE 2700605142 ობლიგაციებზე B+ რეიტინგი მოქმედი კუპონის სპრედის 25 საბაზისო პუნქტით ზრდას იწვევს. კერძოდ:

- 60 მლნ ლარის I ტრანში (GE 2700604921) - კუპონის სპრედი იზრდება TIBR 3M + 3.25%-დან TIBR 3M + 3.50%-მდე.
- 60 მლნ ლარის II ტრანში (GE 2700605142) - კუპონის სპრედი იზრდება TIBR 3M + 3.50%-დან TIBR 3M + 3.75%-მდე.

შესაბამისად:

- მიმდინარე „პროცენტის დარიცხვის პერიოდის" დასრულებამდე (დასრულების თარიღი: 2026 წლის 19 ოქტომბერი, ამ თარიღის გამოკლებით) GE 2700604921 ობლიგაციებზე საპროცენტო სარგებელი დაირიცხება მოქმედი განაკვეთით, ხოლო ახალი საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მომდევნო „პროცენტის დარიცხვის პერიოდიდან" (დაწყების თარიღი: 2026 წლის 19 ოქტომბერი, ამ თარიღის ჩათვლით)
- მიმდინარე „პროცენტის დარიცხვის პერიოდის" დასრულებამდე (დასრულების თარიღი: 2026 წლის 30 ოქტომბერი, ამ თარიღის გამოკლებით) GE 2700605142 ობლიგაციებზე საპროცენტო სარგებელი დაირიცხება მოქმედი განაკვეთით, ხოლო ახალი საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მომდევნო „პროცენტის დარიცხვის პერიოდიდან" (დაწყების თარიღი: 2026 წლის 30 ოქტომბერი, ამ თარიღის ჩათვლით)

პატივისცემით,

მიხაილ ახმედოვ
სს „ნიკორა ტრეიდი"-ს აღმასრულებელი დირექტორი